სახალხო გაზეთი

№ 1134 შაბათი, 8 მარტი 1914 წ. № 1134

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დანეკრ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე დირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ. და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის კ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირუის ოფდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდ განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლობარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., **თვეში**—75 კაპ. **ცალკე №** ყველგან 5 კ., **დამატებითი**—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

წმ. მარინის სკოლის სამზრუნველო, მასწავლებლები და მოწაფეები ამით აცხადებენ, რომ 9 მარტს გარდახდილი იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი ამავე ეკლესიის ყოფილ

მღვდლის მ. ზაქარია გულისაშვილის

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა დილის 9½ საათზედ, პანაშვიდი გარდახდილი იქმნება საფლავზედ წმ. მარინის ეკლესიის გალავანში. 168

გუშინ 5 მარტს ქ. ქუთაისში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანტონ მელქონის ძე არაზოვი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **სუსანა ივანეს ასული, შვილები ნინო და მიხეილი, რძალი ემილია პეტრეს ასული და შვილი-შვილები სერგო და ვანო არაზოვები.** პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე. **ქ. ქუთაისში,** ელუბის შესახვევი, საკუთარი სახლი. დასაფლავება მოხდება შაბათს, 8 მარტს. 154

გულდათუთქულნი სოფიო გიორგის ასული, ალექსანდრე, მიხეილ დიმიტრის ძენი ჯავახოვები და მარიამ დიმიტრის ასული ჩივაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვლას დაუვიწყარ და ძვირფას შვილის და ძმის

ლევან დიმიტრის ძე ჯავახოვისას

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7½ საათზე, (შუა ბაზარი, სურფნიშანის ქუჩა სახლი მ. ჯავახოვისა № 4). გამოსვენება ცხენდრისა კვირას, დილის 10 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალვა პეტრეპავლის სასაფლაოზე. 169

ანნა დიმიტრის ასული და შიო პეტრეს ძე მიქაძენი შვილებით უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და საყვარელ ძმის, სიმამრიშვილის და ბიძის

ლევან დიმიტრის ძე ჯავახოვისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7½ საათზე, (შუა ბაზარი, სურფნიშანის ქუჩა სახლი მ. ჯავახოვისა № 4). გამოსვენება ცხენდრისა კვირას, დილის 10 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალვა პეტრეპავლის სასაფლაოზე. 170.

მღვდელი იოსებ ილიას ძე ბერაძე, მეუღლე მისი **სოფიო იოსების ასული, შვილები: ლავრენტი, ნინო, ალექსანდრე, ნატალია** და **ვახტანგი** აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგებს, რომ ორმოცის წირვა მათი უდროოდ გარდაცვალებულ პირველების — საყვარელ და დაუვიწყარ შვილისა და მეორეთა—უძვირფასესი ძმის, ტფილისის მეორე გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის

ილიკოს

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში ამ თვის 9-ს, კვირას, პანაშვიდი წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზედ. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე. 167

ალექსანდრე ფარნაოზის ძე უიფიანი, თამარ მეტრეველისა, ფარნაოზ გარსევანის ძე უიფიანი მეუღლითურთ, შვილებით და **რძლით,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 მარტს, დილით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველისა ცოლი, მეორისა ქალი და დანარჩენებისა რძალი

მარიამ ალექსანდრეს ასული უიფიანისა.

პანაშვიდი ყოველ დღე ს.-ღამოს 6 საათზე, (ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 50). გასვენება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 9 მარტს, დილის 9 საათზ.-ბინიდან. 164

ქ. ფ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა,

ბეგეჩავაძე ილია. რჩეული ლექსები 1907 წ. . . . . 7 კ.	1908 წ. . . . . 7 კ.
— ოთარაანთ ქვრივი ტფ. 1908 წ. . . . . 18 „	— დედა და შვილი. ტფ. 1908 წ. . . . . 3 „
— სახრჩობელაზე ტფ. 1908 5 „	— ეი ისტორია . . . . 35 „
— უცნაური ამბავი „ „ 4 „	— პოლემიკური წერილები 10 „
— კაკო ყაჩაღი . . . . 5 „	— ცხოვრება და კანონი . 25 „
— კაცია ადამიანი?! ტფილ. 1908 წ. . . . . 20 „	— კრიტიკული წერილები 25 „
— მგზავრის წერილები ტფ. 1908 წ. . . . . 7 „	— ქვათა ღაღადი . . . . 30 „
— მეფე დიმიტრი თავდადებული, 1908 წ. . . . . 7 „	**ახალი წიგნები**
— ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი 1908 წ. . . . 3 „	აბესალომ-ეთერის და როსტომის ლექსი პეტრე მირიანაშვილის შეკრებილი ტფ. 1914 წ. . . . . 20 „
— აჩრდილი 1908 წ. . . 5 „	შოთა რუსთაველი და მისი პოემა. სიმონ ქვარიანისა ქ. 1914 წ. . . . . 30 „
— განდეგილი 1908 წ. . 5 „	საქართველოს ცხოვრება 1469—1800 ზ. ჭიჭინაძისა ტ. 1-ლი 1 მან.
— გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები	იგივე ტ. 2-ე . . . 1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. гр. м. гр. гр. нас.
1072

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ძვირფასი და ტერაპევტიული (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობჭორსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მელხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრანუკნერი ვ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზაბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. **გასინჯვა:** სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

კვირას, 9 მარტს 12 საათზე **„ახალი კლუბის" დარბაზში** მოხდება ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს წევრთა

საზოგადო კრება

განსახილავი საგნები:

1. 1912—1913 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1914 წ. ხარჯთ აღრიცხვა.
4. გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევა.
5. საზოგადოების წევრთა მიღება.

1098

დღეს, 8 მარტს, საღამოს 7 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება

ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების მესამე

მორიგი საჯარო კრება

შალვა ქარუმიძე

წაიკითხავს ლექციას: **„სული და სხეული ქართულ ხალხურ თქმულებებში.** 1099

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791 1091

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მახეილის პროსპექტისა და ფეტელეის სახტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	ფალალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12
	კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ.ს ნნდ.ებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფიროსმანი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ფერბიცკი-ფიროსმანი ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიქანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. ვ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი ბ. ს. ყოველ დღე 11—2.
	კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ვენერიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯაფარიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.
	ფოროფოვი ბ. ს. ყოველ დღე 1—2.
ოფლ. ყურის და ცხვირ.	**ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½ 1½.
თვალის სნეულ.	**ფუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეზავება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

---

9 მარტიდან გამოვა

განახლებული ყოველ-კვირეული, სამხატვრო-სალიტერატურო-სათეატრო და საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება"

ფასი: წლიურად 5 მ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება პირველად 2 მ., **ხელის მოწერა მიიღება** ქართ. დრამ. სახ. კანტორაში (ქარ. თეატრში) და **ითხოვებ** „მედაშვილთან", „ხორავანის" სტამბაში, დილით 10—2 ს., საღ. 5—8 ს. წერილები და ფული ითხოვ ბ ბ. მედაშვილის სახელზე გამოიგზავნოს. ფოსტის მისამართი: Тиф., ред. „Театри да цховреба", Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდ. **ბ. განცხადებანი** მიიღება იქვე.

1088 **ტელეფ. № 15-41.** რედაქტ.-გამომ. **ანნა მედაშვილისა.**

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ეძ. ძალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ეძ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914". 1023

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. გაძოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1084

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **ოთაქოვიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე წამოიტანონ დარჩენილი ვალი.** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **ექიმ გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 787.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **ხაშარდეორგანოთა, ათაშანგისა** ტ კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოა, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი კბილიანი **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ნაძალადევში

ექიმი ხუდადოვის ქ., 4. **ი. რ. სურგულაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

ბერლინის **უნივერსიტეტის**

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებმა** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1067

ექიმი ზ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე. საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ბუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირა. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი **ძ. ბ ო ტ ო ვ ი** (ლ ე კ ტ ო რ ა ნ ტ ი). **ვ. დ. წინამძღვარიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. ბ-ოის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი **კაბლე არდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი ზ. ნ. ბაგაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 3ა.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, ხაზგასმულურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი **ბ. ბუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

უმაღლესი რესკრიპტი
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმართ

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

„ივანე ლონგინოზის ძევ! როდესაც მოგიწოდეთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პასუხსაგებ ადგილზე, მხედველობაში მქონდა, რომ თქვენი სახელმწიფოებრივი გამოცდილება, თქვენი მშვიდობიანი სიმტკიცე და ნაცადი ერთგულება ჩვენი ტახტისადმი ხელს შეუწყობს ჩემი მთავრობის ეგეშმარიტს გაერთიანებას თქვენის ბრძნულის ხელმძღვანელობის ქვეშ და რუსეთის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ეხლა საჭიროდ დავინახე გაუწყოთ ზოგიერთი საზოგადო მოსაზრება, რომელმაც უნდა განსაზღვროს თქვენი მომავალი სახელმწიფოებრივი მუშაობა. მთავრობის მოღვაწეობას უნდა დაედვას საფუძვლად შეურყეველი დამკვიდრება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესიერებისა. მხოლოდ წესიერება და პატივისცემა ჩემ მიერ დამტკიცებულ კანონისადმი შეჰქმნის პირობებს სასარგებლო და ნაყოფიერი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამ პატივისცემასა და ურთერთ ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული ჩემის მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობა, რომლის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს — რუსეთის კეთილდღეობა. ხოლო ვინაიდგან ჩემ მიერ ნაჩვენები საქმეების სრული და ხათელი განხორციელება მოითხოვს აღმსრულებლებისაგან პასუხისმგებლობის მტკიცე შეგნებას უძაღლეს უფლებისა და რუსეთის წინაშე და არ შეესაბამება თვითნებობას—მთავრობის ღირსების დამამცირებელს თუნდაც გარეშე მოსაზრებით გამოწვეულს, მე მოველი, რომ ყოველთვის ყურადღებას მიაქცევთ, რათა რუსეთის სახელმწიფოს დიადი სახე არ დაჩრდილოს პირადმა მოსაზრებამ და ჩემი ხალხის სიკეთე მსხვერპლად არ შეეწიროს უნიადაგო მისწრაფებათ, რომლებიც ხშირად სრულებით არ შეეფერებიან რუსეთის აღმზრდელ და გამამძღოლებელ ხალხურს ადათებსა და ისტორიულს საფუძვლებს. დაგავალებთ ჩემ მიერ დასახული საქმეების განხორციელებას და მინდა ვიწოდუნო, რომ სამშობლოს სიყვარული შეაერთებს მის ერთგულს შვილებს შეთანხმებულ საერთო მუშაობისათვის და ჩემის სრულის ნდობით აღკურვილ მთავრობასა და საკანონმდებლო დაწესებულებათა შორის, რომელთა მუშაობის ფარგალი მტკიცედ არის განსაზღვრული კანონში, დამყარდება საჭირო თანხმობა ჩემის და რუსითის სამსახურისათვის. და ეს თანხმობა ღვთის შეწეობით უზრუნველჰყოფს რუსეთის ძლიერების სრულს განვითარებას და იქნება თავდები ჩვენი სამშობლოს სულიერი და ქონებრივი ძალების ამაღლებისა და დასაწყისი მისი მსოფლიო მნიშვნელობის სრულის აყვავებისა“.

ხამდვილზე **მისი იმპერატ. უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: ნიკოლოზ.** ცარსკოეს-ელო, 1914 წ. 6 მარტი.

ალექსანდრე ბატონიშვილი
(ისტორიული ამბავი).

(შემდეგი *)

ტიხანოვსკიმ ბრძანება შეასრულა, დანიშნულ ვადაზე ალაყერდში გაჩნდა მაგრამ ალექსანდრე კი არსად იყო.

თიანეთში მდგომ ალექსანდრეს ერთის მხრივ პოლკ. პეჩერსკის ჯარი სდარაჯობდა, მეორეს მხრივ კი ტიხანოვსკისა. წინდახედულმა ბატონიშვილმა თიანეთი მიატოვა, ალაზნის მარცხნივ მხარეს გავიდა და სოფ. შილდაში დაბინავდა. ტიხანოვსკიმ გაიგო რა ეს, მაშინვე შილდისკენ გასწია, სოფელზე იერიში მიიტანა, მეამბოხენი დაამარცხა და გაფანტა, სოფელი კი დასწვა. ალექსანდრემ უკან დაიხია და სოფ. საბუეში გადავიდა. ტიხანოვსკიმ კი შილდა მიატოვა, ყვარლის ციხეში ავიდა, აქ მან დასტოვა ავადმყოფნი დ დაჭრილნი 35 კაცი, შემდეგ ფაშაანის ფონთან დაბინავდა, რომ აქედან უფრო ადვილად შესძლებოდა ალაზნის მარჯვენა მხარეს გასვლა.

17 ენკენისთვეს გენერალი თავ. ორბელიანი თითონ გაემგზავრა კახეთისაკენ, თან ჰყავდა სამი როტა მე-9 ეგერის პოლკისა, ერთი ზარბაზანი და 70 ყაზახი. ტფილისში ჯარის უფროსობა მიანდო გენერალ სიმონოვიჩს, რომელიც სოლოომონ მეფის დევნისა და იმერეთის დაწყნარების შემდეგ ტფილისში იქმნა გამოწვეული.

20 ენკენისთვეს ორბელიანი სიღნაღს მივიდა. აქ ის დარწმუნდა, რომ პოლკოვნიკ ტიხანოვსკისთან შეერთება მას არ შეეძლო, ვინაიდგან მეამბოხეთ გზები მოეკრათ და ალაზნის მარჯვენა მხარეს თავისუფლად დათარეშობდნენ. ორბელიანმა მცირე ჯარით წინ წასვლა ვერ გაბედა, ეშინოდა ხიფათში ჩავარდნისა. ტფილისიდან საჩქაროდ მაშველი ჯარი დაიბარა—ერთი როტა კაბარდინის პოლკისა, ერთი ბატალიონი ხერსონის გრენადერის პოლკისა და 75 ყაზახი. ეს ჯარი 26 ენკენისთვეს მიუვიდა ორბელიანს და მეორე დღეს ფაშაანის ფონისაკენ წავიდა ტიხანოვსკისთან შესაერთებლად. სიღნაღის თორმეტი ვერსის მანძილზე მას მეამბოხენი გადაეღობნენ და სასტიკი სროლა აუტეხეს, სამი დღე არ შეწყვეტილა სისხლის ღვრა, მხოლოდ 1 ოქტომბერს შესძლო ფაშაანის ფონთან მისვლა და ტიხანოვსკის შეუერთდა. ამნაირად ერთმა თვემ განვლო მას შემდეგ რაც ალექსანდრე კახეთში გაჩდა და საანამ ორბელიანი მის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარს მოუყრიდა თავს.

პოლკოვნიკმა პეჩორსკიმ, რომელიც არაგვისაკენ იყო გაგზავნილი, გაიარა ბალიჩაური, ანანური, გზა და გზა მეამბოხენი გაფანტა და საქართველოს სამხედრო გზისაკენ გაეშურა. ეს გზა მეამბოხეთა ხელში იყო, მათ გზებზე ხიდები დაანგრიეს, გზები ჩახერგეს და გზა მოსპეს. დუშეთსა და ქაიშაურს შორის საქართველოს სამხედრო გზას ყარაულობდა პოლკ. ნიკოლსკი. ის ერთხელ ოცი კაცით გზის დასათვალიერებლად გამოვიდა, ფასანაურთან უეცრად მეამბოხენი დაესხნენ, ჯარისკაცები ზოგი გასწყვიტეს და ზოგი დაატყვევეს, დაატყვევეს თითონ პოლკოვნიკი ნიკოლსკი და მასთან ერთად ხორუნჟი მილერი, რომელსაც პეტერბურგში მთავარ-მართებლის დეპეშა მიჰქონდა[1]). ამ მცირე გამარჯვებით დიდად გამხნევდნენ მეამბოხენი. პოლკ. პეჩორსკის მართალია დიდის გაჭირვებით დაიჭირა ფასანაურის პოსტი, მაგრამ საქართველოს სამხედროს გზის განთავისუფლება კი ვეღარ შესძლო. პეჩორსკიმ მაშველი ჯარი სთხოვა ტფილისში სიმონოვიჩს. რადგანაც ტფილისში იმ დროს ძალიან ცოტა ჯარი იყო დარჩენილი, ამისათვის სიმონოვიჩმა ბორჩალოს დისტანციიდან გაგზავნა ერთი ბათალიონი მე-46 ეგერის პოლკისა, პოლკოვნიკ ფონ-კრაბბეს უფროსობით. ამავე დროს თანახმად რტიშჩევის წინასწარ განკარგულებისა, კავკავიდან წამოვიდა მაიორ გურლებუმის უფროსობით ორი როტა მე 16-ეგერის პოლკისა და ორიც ყაზანის პოლკისა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში, მთავარმართებელი რტიშჩევი ყარაბახიდან ტფილისს დაბრუნდა, რომელმაც უმთავრესი ყურადღება საქართველოს სამხედრო გზას მიაქცია. მან ამ გზის განსათავისუფლებლად თითონ სიმონოვიჩი გაგზავნა, თან სამი ბათალიონი ჯარი გაატანა და უბრძანა მიეღო უფროსობა ყველა იმ ჯარისა, რომელიც იქ იმყოფებოდა. ვიდრე სიმონოვიჩი ანანურამდის მიაღწევდა, პეჩორსკიმ, კრაბბემ

[1]) ჰოტტო ტ. 2. გვ. 394.

ნატორისგან დამტკიცებული. გუშინ საყინულე მანქანათა ამხანაგობის წარმომადგენელმა გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს ქალაქის გამგეობას, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე მისცეს ამხანაგობას ხვედრი ფული.

✦ **კიდევ ქანანოვი და ქალაქის გამგეობა.** ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფმა გ. ზ. ქანანოვმა გუბერნატორთან კიდევ უჩივლა ქალაქის გამგეობას, ჩემი პრეტენზიები დღესაც არ განუხილავს, თუმცა განსახილველ საგანთა სიაში დიდხანია შეტანილიაო. გუბერნატორმა გუშინ ქალაქის გამგეობას პასუხი მოსთხოვა ამ საჩივრის გამო.

✦ ქალაქის საბჭოს კომისიის თავმჯდომარენი. 6 მარტის კრებაზე ქალაქის საბჭომ კომისიების თავმჯდომარენი აირჩია. არჩეულ იქმნენ: სატრამვაიო კომისიის თავმჯდომარედ—მ. პ. ვესელოვზოროვი, სასკოლო კომისიისა—ვ. ი. ალიხანოვი, სატყეო საბაღოსნო კომისიისა—ს. თ. ხუნდაძე და თავშესაფართა და დარაბთა სახლის გამგე კომისიისა—ნ. ნ. ოსტროგორსკი.

✦ რედაქციამ მიიღო იასონ კერესელიძის გამოცემული „ისტორიული სურათები“ დიმიტრი ჯანაშვილისა. წიგნში მოთავსებულია ორი წერილი: 1) „ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან“ (გვერდი 1—64) და 2) ქართველი ქალი“ (გვ. 65—285) წიგნი მოზრდილი ზომისაა, სუფთადაა გამოცემული და თხუთმეტ შაურად ღირს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება დღეისთვის არის დანიშნული, საღამოს 8 საათზე. კრებამ კლუბის ახალი მამასახლისები უნდა აირჩიოს.

✦ ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგიო კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული კომისიის თავჯდომარის ასარჩევად.

✦ **ბავშთათვის მზრუნველმა საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ რკინის გზებზე უფასოდ წაიყვანონ სუსტი და ავადმყოფი ბავშვნი, არა უმეტეს ათი წლისა, რომელნიც სანატორიებსა და საზაფხულო ახალშენებში მიჰყავთ. რკინის გზათა საამართველომ შუამდგომლობა შეიწყნარა.

✦ **მეგვნახეობისა და მეღვინეობის კომიტეტში.** უფროსმა ინსტრუქტორმა ივ. ო. იოსელიანმა წარუდგინა კომიტეტს წლიური ანგარიში თვისი მუშაობისა ტფილისისა, გორისა, დუშეთის და ბორჩალოს მაზრებში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, წარსული წელი მემამულეებისათვის კარგი ყოფილა. მოსავალი სარწყავ მიწებიდან საშუალოზე მეტი. ურწყავიდან 400—600 ვედრო; ზოგ ალაგას კი 800 ვედრომდე, მაგალითად ხაშმსა, ივრის ხეობაში და ბორჩალოს მაზრაში. ფასები ღვინოებზე წლის ბოლოს ძლიერ დაეცა, ვედრო გადიოდა 1 მან. და ექვს აბაზში, მაგრამ ამისდა მიუხედავად მუშტარი მაინც არა სჩანდა, რის გამოც ამ ჟამად დიდ-ძალი ღვინოა გაუყიდავი. ნამყენ ვაზების საცდელი სანერგე მოუწყვია სოფ. ერედვში 150 ოთხკუთხ საყენზე. ყველა ვაზებმა კარგა იმყნეს. ფილოქსერა პირველად აღმოუჩენია ბორჩალოს მაზრაში. საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ამ მაზრაში 19 სოფელი ზომით 1207 დეს. 944 ოთხკუთხი საყენი. ვაზების რიცხვი 33920, ხოლო ვენახისა—4088, ფილოქსერა—მოდებულ ნიადაგი 13 დეს. 1453 ოთხკუთხი საყენის ყოფილა. სულ 14 ვენახი. პრაქტიკული კურსები ვაზების მყნობისა მოუწყვია სოფ. ცხინვალში, სადაც უხსნიდნენ თეორიას ფილოქსერისა, მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

სასწავლებლებში

✦ **ქართ. სამეურ. სამრეწველო საქალებო სასწავლებელი.** საგანგებო კომისიას, რომელსაც მიხდობილი აქვს საქალებო სასწავლებლის ტიპის შემუშავება, დღემდე შვიდი კრება ჰქონდა. კომისიამ საბოლოოდ აღიარა, რომ საჭიროა დაარსდეს სამეურნეო სამრეწველო საქალებო საშუალო სასწავლებელი. კომისიის აზრით, სასწავლებელი უნდა იყოს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა საძძართველოს გამგებლობის ქვეშ. კომისიამ 6 მარტის კრებაზე დაასრულა მომავალ სასწავლებლის პროგრამისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. კომისიამ დაწვრილებით განიხილა ბალის, ბაღის, ბალახის, ბალნეულობა, საგნები, საათები, შტატები, ზამთრისა და ზაფხულის პრაქტიკულ მუშაობის დრო და სხვა. სასწავლებელში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე. რუსული ენა ცალკე საგნად უნდა იყოს. კომისიის შემდეგი კრება მომავალ ხუთშაბათს ეოხდება. კომისია თავის მუშაობის დასრულების შემდეგ ცალკე მოხსენებას დაბეჭდავს ამ სასწავლებლის შესახებ თავად-აზნაურთა კრებისათვის წარსადგენად.

კნეინამ მარიამ ვახტანგის ასულმა ჯაბადაკურ-ორბელიანისამ კომისიას განუცხადა სურვილი, შესწიროს მომავალ სასწავლებელს 49 დესეტინა მიწა გორის ოაზრის სოფელ ბელისში, თუ ეს სასწავლებელი ბართლა დაარსდება. არიან სხვა მსურველნიც იმისა, რომ მომავალ სასწავლებელის განხორციელებას ფულისა და მიწის შეწირვით ხელი შეუწყონ.

სრ. მეხუთა ცხოვრება

✦ **სომხური კულტურული კავშირი.** ამ დღეებში ბაკოში შესდგა სომხ. კულტ. კავშირის სამხატვრო სექციის კრება. თანამდებობის კაცთა არჩევის შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ სექციის მოღვაწეობა.

სექციას 1425 მან. დახმარება აღმოუჩენია დამშეულ სომხებისათვის საშობაო ბაზრის შემოსავლიდან, რომელიც გაუმართავს ბათ სასარგებლოდ. სექციას დაუწყია ქრონო-ლიტოგრაფიულის სურათების გამოცემა სომხეთის ისტორიიდან; გამოცემა ა. მაილიანის რომანი „ო, ნუ მთხოვ“, მოუწყვია აკად. მარრის ლექციები ანის ნამთების შესახებ. სექციას შეუძენია სომხის კომპოზიტორის ჩუხაჯიანის ოპერა „ლებლებიჯი“ და რამდენჯერმე წარმოუდგენია ბაქოსა და ტფილისში და ახლა აბირებს ამ ოპერის დადგმას მოსკოვსა და პეტერბურგში. სექციის დრამატიულმა დასმა შემოიარა ოსმალეთი და სხვა და სხვა ალაგას გამართა სომხური წარმოდგენები. ესევე დასი მუშაობდა ბაკოში. დღეს სამხატვრო სექციას განზრახული აქვს სასტუმრო სახლის აგება მგზავრებისათვის ანში და მწერლის ქ. აბოვიანის ძეგლის დადგმა ერევანში. სახლი დაჯდება 11000 მან. და სახლისთვის 8000 მან. უკვე შემოსწირეს სექციას ა. მანთაშევის მემკვიდრეებმა. აბოვიანის ძეგლისთვის დღემდის შეკრებილია 9000 მან. საჭიროა კიდევ 8000, რომელსაც სექცია მალე შეაგროვებს. გარდა ამისა სექცია ემზადება დრამატურგის შირვანზადეს 30 წლის იუბილეს მოსაწყობად. სექციას დაუმზადებია აგრეთვე შუშის, ბორჩალოს და ზანგეზურის მაზრათა სომხების სახლების და ტიპების ფოტოგრაფიული სურათები ალბომების გამოსაცემად.

კრებამ მოისმინა და მოიწონა წევრის მ. ტერ-გრიქორიანის მოხსენება, რომელსაც განუზრახავს რუსეთი შემოიაროს და რუსის საზოგადოებას გააცნოს სომხური ხალხური მუსიკა (ქამანჩის, სალამურის და თარის შეწყობთ). დასასრულ კრებამ გადასწყვიტა მაისში ეექსკურსია გამართოს ანისა და ეჩმიაძინის დასათვალიერებლად.

✦ **სომხები და ვატიკანი.** სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ განკარგულება მიიღო, რომ ყოველგვარი საქმის წარმოება—საეკლესიო და სასკოლო, აგრეედვე ღვთისმსახურებაც ეკლესიებში ლათინურს ენაზედ აწარმოვონ. ამის შემდეგ სომხები, რომელნიც კათოლიკობას მიიღებენ სომეხ-კათოლიკედ კი არა, მხოლოდ კათოლიკედ იწოდებიან. ეს განკარგულება უკმაყოფილებას იწვევს, და სომხები „ბაკუს“ სიტყვით, აძგვარ განკარგულებას არ ემორჩილებიან.

ქუთაისი

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქუთაისის ნოქრებს, 9 მარტს, ქალაქის თეატრში მოახდინონ კრება, პროფესიონალურ კავშირის წესდების შესამუშავებლად.

✦ ამ დღეებში ქუთაისში გამოიცემა ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ერი“.

✦ ქ.-შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ წიგნ-საცავების მეთვალყურეს მიანდო, შეჰკრიბოს ცნობები წიგნთ-საცავების გახსნის შესახებ გურიის ხუთ საზოგადოებაში; ნანეიშვილისა, ჩოჩხათისა, სოფ. ოზურგეთის, ჯურუყვეთისა და მიქელგაბრიელისა.

✦ შავი-ქვის მრეწველთა თავმჯდომარე ბ. გ. ზდანოვიჩი გუშინ საბჭოს საქმეებისა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ 16 მარტს, დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივი კრება: კრებამ უნდა ამოირჩიოს თანამდებობის პირნი ლეჩხუმის მაზრისთვის და თავად-აზნაურთა წინამძღოლი ზუგდიდის მაზრისთვის. კრება განიხილავს კითხვებს ქუთ. ს.-აზ. ბანკის თანხის შესახებ, მოიჯარადრეთა საყვედურებს ქართული გიმნაზიის შენობის აგების შესახებ და სხვ.

რკინის გზებზე

✦ რკინის გზის სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზით **უფასოდ წაიყვანონ** ხოლმე 1) ავადმყოფი და სუსტი ბავშვები 10 წლამდე (წინად მხოლოდ 5 წლისანი მიჰყავდათ) სანატორიუმში საზაფხულო ახალშენებში და მეორე წყლებზე მიმავალი, ხოლო ის პირნი ვინც მათ თან მისდევენ, მათი რიცხვის განუსაზღვრელად, სარგებლობდნენ ფასიან ბილეთებით 1914 წელს შემოღებული ტარიფით № 201. 2) ცოფიან ძაღლით დაგლეჯილი ავადმყოფნი და მათი გამცილებლები საბაქტერიოლოგიო სადგურამდე, მოათავსონ ხოლმე განსაკუთრებულ განყოფილებაში და მე-III კლასის ბილეთები მე-IV კლასის ფასად დაუთმონ. ასეთივე შეღავათიანი ბილეთებით შეუძლიანთ ისარგებლონ მათ დაბრუნების დროს, ხოლო მოწმობა უნდა წარადგინონ საბაქტერიოლოგიო სადგურისა, რომ იქ იწამლეს.

ჭიათურა.

✦ ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტში, კვირას, 9 მარტს დღით 12 საათ. **ბ. ილია ნაკაშიძე** წაიკითხავს „წერალი“ დ. კლდიაშვილი“. **ბ. ალექსანდრე ჯანელიძე** წაიკითხავს თავისი ლექციის გაგრძელებას ეროვნულ შემოქმედებაზე.

ტფილისის მაზ.

✦ **ერომანგთის დახოცვა.** აღბუღადიდან 10 ვერსის მანძილზე ერომანეთი თოფით დახოცეს მიხეილ არუთინოვმა და ამინო აბას-ოღლიმ

ტფ. ქალაქის საბჭო
6 მარტის კრება.

ქალაქის მოურავის მოადგილე **თ-დი ა. მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი** თავმჯდომარეობს.

ტრამვაის გამოსყიდვა.

წინა კრებაზე ხმ. **ა. ს. ბაბოვი** გამგეობას შეეკითხა, რა მდგომარეობაშია ტრამვაის გამოსყიდვის საკითხი.

თავჯდომარე ამის პასუხად კრებას შემდეგს აცნობებს: ქალაქის გამგეობას უკვე ჰქონდა რამდენიმე საგანგებო კრება ამ საკითხის გამო და დაადგინა, მიმდინარე წლის 14 მარტს ტრამვაის დირექტორს განუცხადოს ქალაქის თვითმმართველობის სურვილი ტრამვაის გამოსყიდვისა, თანახმად ქალაქის საბჭოს დავალებისა.

ალექსანდრეს ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი).

(შემდეგი *)

ტიხანოვსკიმ ბრძანება შეასრულა, დანიშნულ ვადაზე ალაყერდში გაჩნდა მაგრამ ალექსანდრე კი არსად იყო.

თიანეთში მდგომ ალექსანდრეს ერთის მხრივ პოლკ. პეჩერსკის ჯარი სდარაჯობდა, მეორეს მხრივ კი ტიხანოვსკისა. წინდახედულმა ბატონიშვილმა თიანეთი მიატოვა, ალაზნის მარცხნივ მხარეს გავიდა და სოფ. შილდაში დაბინავდა. ტიხანოვსკიმ გაიგო რა ეს, მაშინვე შილდისკენ გასწია, სოფელზე იერიში მიიტანა, მეამბოხენი დაამარცხა და გაფანტა, სოფელი კი დასწვა. ალექსანდრემ უკან დაიხია და სოფ. საბუეში გადავიდა. ტიხანოვსკიმ კი შილდა მიატოვა, ყვარლის ციხეში ავიდა, აქ მან დასტოვა ავადმყოფნი დ დაჭრილნი 35 კაცი, შემდეგ ფაშაანის ფონთან დაბინავდა, რომ აქედან უფრო ადვილად შესძლებოდა ალაზნის მარჯვენა მხარეს გასვლა.

17 ენკენისთვეს გენერალი თავ. ორბელიანი თითონ გაემგზავრა კახეთისაკენ, თან ჰყავდა სამი როტა მე-9 ეგერის პოლკისა, ერთი ზარბაზანი და 70 ყაზახი. ტფილისში ჯარის უფროსობა მიანდო გენერალ სიმონოვიჩს, რომელიც სოლოომონ მეფის დევნისა და იმერეთის დაწყნარების შემდეგ ტფილისში იქმნა გამოწვეული.

20 ენკენისთვეს ორბელიანი სიღ-

(*) იხ. „სახ. გაზ. № 1133.

ნატორისგან დამტკიცებული. გუშინ საყინულე მანქანათა ამხანაგობის წარმომადგენელმა გუბერნატორს სთხოვა, ნება დართოს ქალაქის გამგეობას, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე მისცეს ამხანაგობას ხვედრი ფული.

✦ **კიდევ ქანანოვი და ქალაქის გამგეობა.** ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფმა გ. ზ. ქანანოვმა გუბერნატორთან კიდევ უჩივლა ქალაქის გამგეობას, ჩემი პრეტენზიები დღესაც არ განუხილავს, თუმცა განსახილველ საგანთა სიაში დიდხანია შეტანილიაო. გუბერნატორმა გუშინ ქალაქის გამგეობას პასუხი მოსთხოვა ამ საჩივრის გამო.

✦ ქალაქის საბჭოს კომისიის თავმჯდომარენი. 6 მარტის კრებაზე ქალაქის საბჭომ კომისიების თავმჯდომარენი აირჩია. არჩეულ იქმნენ: სატრამვაიო კომისიის თავმჯდომარედ—მ. პ. ვესელოვზოროვი, სასკოლო კომისიისა—ვ. ი. ალიხანოვი, სატყეო საბაღოსნო კომისიისა—ს. თ. ხუნდაძე და თავშესაფართა და დარაბთა სახლის გამგე კომისიისა—ნ. ნ. ოსტროგორსკი.

✦ რედაქციამ მიიღო იასონ კერესელიძის გამოცემული „ისტორიული სურათები“ დიმიტრი ჯანაშვილისა. წიგნში მოთავსებულია ორი წერილი: 1) „ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან“ (გვერდი 1—64) და 2) ქართველი ქალი“ (გვ. 65—285) წიგნი მოზრდილი ზომისაა, სუფთადაა გამოცემული და თხუთმეტ შაურად ღირს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალ კლუბის** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება დღეისთვის არის დანიშნული, საღამოს 8 საათზე. კრებამ კლუბის ახალი მამასახლისები უნდა აირჩიოს.

✦ ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგიო კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული კომისიის თავჯდომარის ასარჩევად.

✦ **ბავშთათვის მზრუნველმა საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ რკინის გზებზე უფასოდ წაიყვანონ სუსტი და ავადმყოფი ბავშვნი, არა უმეტეს ათი წლისა, რომელნიც სანატორიებსა და საზაფხულო ახალშენებში მიჰყავთ. რკინის გზათა საამართველომ შუამდგომლობა შეიწყნარა.

✦ **მეგვნახეობისა და მეღვინეობის კომიტეტში.** უფროსმა ინსტრუქტორმა ივ. ო. იოსელიანმა წარუდგინა კომიტეტს წლიური ანგარიში თვისი მუშაობისა ტფილისისა, გორისა, დუშეთის და ბორჩალოს მაზრებში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, წარსული წელი მემამულეებისათვის კარგი ყოფილა. მოსავალი სარწყავ მიწებიდან საშუალოზე მეტი. ურწყავიდან 400—600 ვედრო; ზოგ ალაგას კი 800 ვედრომდე, მაგალითად ხაშმსა, ივრის ხეობაში და ბორჩალოს მაზრაში. ფასები ღვინოებზე წლის ბოლოს ძლიერ დაეცა, ვედრო გადიოდა 1 მან. და ექვს აბაზში, მაგრამ ამისდა მიუხედავად მუშტარი მაინც არა სჩანდა, რის გამოც ამ ჟამად დიდ-ძალი ღვინოა გაუყიდავი. ნამყენ ვაზების საცდელი სანერგე მოუწყვია სოფ. ერედვში 150 ოთხკუთხ საყენზე. ყველა ვაზებმა კარგა იმყნეს. ფილოქსერა პირველად აღმოუჩენია ბორჩალოს მაზრაში. საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ამ მაზრაში 19 სოფელი ზომით 1207 დეს. 944 ოთხკუთხი საყენი. ვაზების რიცხვი 33920, ხოლო ვენახისა—4088, ფილოქსერა—მოდებულ ნიადაგი 13 დეს. 1453 ოთხკუთხი საყენის ყოფილა. სულ 14 ვენახი. პრაქტიკული კურსები ვაზების მყნობისა მოუწყვია სოფ. ცხინვალში, სადაც უხსნიდნენ თეორიას ფილოქსერისა, მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

სასწავლებლებში

✦ **ქართ. სამეურ. სამრეწველო საქალებო სასწავლებელი.** საგანგებო კომისიას, რომელსაც მიხდობილი აქვს საქალებო სასწავლებლის ტიპის შემუშავება, დღემდე შვიდი კრება ჰქონდა. კომისიამ საბოლოოდ აღიარა, რომ საჭიროა დაარსდეს სამეურნეო სამრეწველო საქალებო საშუალო სასწავლებელი. კომისიის აზრით, სასწავლებელი უნდა იყოს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა საძძართველოს გამგებლობის ქვეშ. კომისიამ 6 მარტის კრებაზე დაასრულა მომავალ სასწავლებლის პროგრამისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. კომისიამ დაწვრილებით განიხილა ბალის, ბაღის, ბალახის, ბალნეულობა, საგნები, საათები, შტატები, ზამთრისა და ზაფხულის პრაქტიკულ მუშაობის დრო და სხვა. სასწავლებელში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე. რუსული ენა ცალკე საგნად უნდა იყოს. კომისიის შემდეგი კრება მომავალ ხუთშაბათს ეოხდება. კომისია თავის მუშაობის დასრულების შემდეგ ცალკე მოხსენებას დაბეჭდავს ამ სასწავლებლის შესახებ თავად-აზნაურთა კრებისათვის წარსადგენად.

კნეინამ მარიამ ვახტანგის ასულმა ჯაბადაკურ-ორბელიანისამ კომისიას განუცხადა სურვილი, შესწიროს მომავალ სასწავლებელს 49 დესეტინა მიწა გორის ოაზრის სოფელ ბელისში, თუ ეს სასწავლებელი ბართლა დაარსდება. არიან სხვა მსურველნიც იმისა, რომ მომავალ სასწავლებელის განხორციელებას ფულისა და მიწის შეწირვით ხელი შეუწყონ.

სრ. მეხუთა ცხოვრება

✦ **სომხური კულტურული კავშირი.** ამ დღეებში ბაკოში შესდგა სომხ. კულტ. კავშირის სამხატვრო სექციის კრება. თანამდებობის კაცთა არჩევის შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო დამსწრეთ სექციის მოღვაწეობა.

სექციას 1425 მან. დახმარება აღმოუჩენია დამშეულ სომხებისათვის საშობაო ბაზრის შემოსავლიდან, რომელიც გაუმართავს ბათ სასარგებლოდ. სექციას დაუწყია ქრონო-ლიტოგრაფიულის სურათების გამოცემა სომხეთის ისტორიიდან; გამოცემა ა. მაილიანის რომანი „ო, ნუ მთხოვ“, მოუწყვია აკად. მარრის ლექციები ანის ნამთების შესახებ. სექციას შეუძენია სომხის კომპოზიტორის ჩუხაჯიანის ოპერა „ლებლებიჯი“ და რამდენჯერმე წარმოუდგენია ბაქოსა და ტფილისში და ახლა აბირებს ამ ოპერის დადგმას მოსკოვსა და პეტერბურგში. სექციის დრამატიულმა დასმა შემოიარა ოსმალეთი და სხვა და სხვა ალაგას გამართა სომხური წარმოდგენები. ესევე დასი მუშაობდა ბაკოში. დღეს სამხატვრო სექციას განზრახული აქვს სასტუმრო სახლის აგება მგზავრებისათვის ანში და მწერლის ქ. აბოვიანის ძეგლის დადგმა ერევანში. სახლი დაჯდება 11000 მან. და სახლისთვის 8000 მან. უკვე შემოსწირეს სექციას ა. მანთაშევის მემკვიდრეებმა. აბოვიანის ძეგლისთვის დღემდის შეკრებილია 9000 მან. საჭიროა კიდევ 8000, რომელსაც სექცია მალე შეაგროვებს. გარდა ამისა სექცია ემზადება დრამატურგის შირვანზადეს 30 წლის იუბილეს მოსაწყობად. სექციას დაუმზადებია აგრეთვე შუშის, ბორჩალოს და ზანგეზურის მაზრათა სომხების სახლების და ტიპების ფოტოგრაფიული სურათები ალბომების გამოსაცემად.

კრებამ მოისმინა და მოიწონა წევრის მ. ტერ-გრიქორიანის მოხსენება, რომელსაც განუზრახავს რუსეთი შემოიაროს და რუსის საზოგადოებას გააცნოს სომხური ხალხური მუსიკა (ქამანჩის, სალამურის და თარის შეწყობთ). დასასრულ კრებამ გადასწყვიტა მაისში ეექსკურსია გამართოს ანისა და ეჩმიაძინის დასათვალიერებლად.

✦ **სომხები და ვატიკანი.** სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ განკარგულება მიიღო, რომ ყოველგვარი საქმის წარმოება—საეკლესიო და სასკოლო, აგრეედვე ღვთისმსახურებაც ეკლესიებში ლათინურს ენაზედ აწარმოვონ. ამის შემდეგ სომხები, რომელნიც კათოლიკობას მიიღებენ სომეხ-კათოლიკედ კი არა, მხოლოდ კათოლიკედ იწოდებიან. ეს განკარგულება უკმაყოფილებას იწვევს, და სომხები „ბაკუს“ სიტყვით, აძგვარ განკარგულებას არ ემორჩილებიან.

ქუთაისი

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქუთაისის ნოქრებს, 9 მარტს, ქალაქის თეატრში მოახდინონ კრება, პროფესიონალურ კავშირის წესდების შესამუშავებლად.

✦ ამ დღეებში ქუთაისში გამოიცემა ყოველდღიური გაზეთი „ჩვენი ერი“.

✦ ქ.-შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ წიგნ-საცავების მეთვალყურეს მიანდო, შეჰკრიბოს ცნობები წიგნთ-საცავების გახსნის შესახებ გურიის ხუთ საზოგადოებაში; ნანეიშვილისა, ჩოჩხათისა, სოფ. ოზურგეთის, ჯურუყვეთისა და მიქელგაბრიელისა.

✦ შავი-ქვის მრეწველთა თავმჯდომარე ბ. გ. ზდანოვიჩი გუშინ საბჭოს საქმეებისა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ 16 მარტს, დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივი კრება: კრებამ უნდა ამოირჩიოს თანამდებობის პირნი ლეჩხუმის მაზრისთვის და თავად-აზნაურთა წინამძღოლი ზუგდიდის მაზრისთვის. კრება განიხილავს კითხვებს ქუთ. ს.-აზ. ბანკის თანხის შესახებ, მოიჯარადრეთა საყვედურებს ქართული გიმნაზიის შენობის აგების შესახებ და სხვ.

რკინის გზებზე

✦ რკინის გზის სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზით **უფასოდ წაიყვანონ** ხოლმე 1) ავადმყოფი და სუ

ლომბარდი.

ბოლო ოქმამ ... ბოლოს ... ლომბარდის ... ...

ნეს, ხაზინა ნახევარ მილიონი მანეთით დაეხმაროს ქარიშხალისაგან დაზარალებულთა.

გამოცხადდა, რომ ბაქოს საგრადონაჩალნიკოში საგანგებო დაცვის წესები დარჩეს 1914 წლის 4 სექტემბრამდეო.

საგზაო და სამხედრო-საზღვაო კომისიების შეერთებულ კრებაზე მოიწონეს კანონ-პროექტი: ხაზინის ხარჯზე გამოიკვლიონ ახალი რკინის გზის მიმართულება რიაზან-ტულა-ბარანოვიჩ-ვარშავისა.

ლეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

6 მარტი.

უცხოეთი.

ლონდონი. გაზეთი „გლობი“ აცხადებს, რომ კარსონისა და ულსტერის მოძრაობის სხვა ხელმძღვანელთა დატუსალების ბრძანება გამოიცარ.

ასკვიტი მეფემ სასახლეში მიიღო. ჰფიქრობენ, ამას კავშირი აქვს ჰომრულის შესახებ მსჯელობასთან, რაც ამ დღეებში პალატაში მოხდებაო.

ოფიციალურად უარჰყოფენ გაზეთ „გლობის“ მიერ გამოქვეყნებულ ბრძანებას კარსონისა და თანამოაზრეების დაპატიმრებაზე.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს კრებაზე დუმერგმა განაცხადა, საზღვაო მინისტრმა მონისმა სამსახურიდგან განთავისუფლება ითხოვა, რათა პალატის გამომძიებელ კომისიის წინაშე თავისუფლად მოქმედება შეეძლოსო. სამინისტროს დროებით ლებრენი ჰმართავს.

პრაგა. ჩეხელ სახალხო საბჭოს თავმჯდომარე, ქ. პრაგის ნამოურავალი და შავარდენთა ნამამასახლისარი დეპუტატი პოდლიპნი გარდაიცვალა.

ვენა. „რეიხს-პორტი“ უკმაყოფილებას აცხადებს, რომ ალბანეთის ახალ კაბინეთში 5 მაჰმადიანია, 2 მართლმადიდებელი და მხოლოდ 1 კათოლიკე. ცხობებია, ალბანეთის მმართველის წინააღმდეგ დემონსტრაციები იმართება ალბანეთშიაც.

ნეაპოლი. ცნობილი მეცნიერი, ვეზუვის მთაზე არსებულ ობსერვატორიის დირექტორი პროფესორი მირკელი დაიღუპა ცეცხლში, რომელიც დამე გაუჩნდა მისს სახლს სოწოლის ახლო მდგარ ნავთის ლამფისაგან. მერკალის გვამი მთლად დანახშირებულია.

პეკინი. ოფიციოზი წინააღმდეგია, რომ ნავთიანი ადგილები გადაეცეს იაპონილებს, რადგანაც მათ საამისოდ არ გააჩნიათ არც ხალხი, არც ფული და არც მანქანები.

ბელგრადი. სკუპჩინამ საბიუჯეტო კანონპროექტი მიიღო 76 ხმით 40 წინააღმდეგ.

ველფასტი. ნორფოლკის პოლკის რაზმი მოვიდა კოშკის დასაცავად, სადაც იარაღების დიდი სახაზინო საწყობია. დარაჯების რიცხვი გაორკეცებულია.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში სოციალისტებმა ტომამა და ჟორესმა შეკითხვა შეიტანეს პუტილოვის ქარხნის შესახებ, მართლა იგი კრუპის ხელში გადადის, თუ არაო. დუმერგმა უპასუხა, ამ გვარი რამ მოსალოდნელი აღარ არის, რადგან საფრანგეთის მთავრობა გულმოდგინედ ჩაერია საქმეში, რუსის მთავრობამაც მას მხარი დაუჭირა და საქმე საფრანგეთის მრეწველობის სასარგებლოდ დასრულდაო.

ხმებია, ახალშენთა მინისტრი ლებრენი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე მაჟინო და საზღვაო მინისტრი მონისი სამსახურიდგან გადადგებიანო. ამ ხმებს ოფიციალურად უარჰყოფენ.

რომი. საღამოთი ახალი კაბინეთის შემადგენლობა შეიცვალა: სახალხო განათლების მინისტრად დაინიშნა დანეო, ფოსტა-ტელეგრაფისა—რიკიო, იუსტიციისა—დარი, მიწათმოქმედებისა—სენატორი კოვასსა, სამხედროსი—იპინგანდი.

იოანესბურგი. ტრანსვაალის პროვინციალურ საბჭოში აირჩიეს 23 ნევრი მუშათა პარტიისა. ბევრგან მუშები უმეტესობას შეადგენდნენ, რის გამოც გაფიცულთა ზოგიერთი ხელმძღვანელი აირჩიეს.

ჰამბურგი. სენატის წინადადებით საქალაქო საბჭომ დაადგინა საახალშენო ინსტიტუტთან ეხლავე დააარსონ რუსეთის ისტორიისა და კულტურის კათედრა.

რუსეთი.

პეტერბურგი. ბრალმდებელის პროტესტის გამო სენატმა გააბათილა სარატოვის ოლქის სასამართლოს სესიის განაჩენი 49 გლეხის საქმის შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ მწვალებლობა-ხლისტობა, ჭ რომელიც საოლქო სასამართლომ გაამართლა. საქმე ხელმეორედ გაირჩევა.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა კერძო ვექილის შნიკოვისა და გენერალური შტაბის მწერლის ერშოვის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ღალატისთვის. პირველს პეტერბურგის სასამართლო პალატამ 10 წლის კატორღა გადაუწყვიტა, მეორეს 6 წლის.

აკადემიკოსმა სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის პროფესორმა ფონ-გოგენმა თავი მოიკლა.

სინოდმა ნება დართო 25 მარტს, ხარებობა დღეს, მთელს რუსეთის ეკლესიებში ფული შეჰკრიბონ ურმიაში მართლმადიდებელ ეკლესიის ასაგებად.

მიწათმოწყობის მთავარ გამგემ გუბერნიის უფროსებს სახელმძღვანელო გეგმა დაუგზავნა წელევანდელ სამიწათმოქმედო მუშაობისა.

ნოვოჩერკასკი. მდ. დონმა კიდევ ოთხი გვამი გამორიყვა, რომლებიც ქარიშხალის დროს დაღუპულან.

უცხოეთი

რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება.

მკითხველებს უკვე გავაცანით გერმანიისა და რუსეთის, როგორც მემარჯვენე ისე ლიბერალური გაზეთების აზრი რუსეთ-გერმანიის უთანხმოების შესახებ. ეხლა მოგვყავს გერმანიის სოციალ-დემოკრატების გაზეთ „არბ. ციტ.“-ის აზრი.

გაზეთი სწერს: კარგა ხანია რაც გერმანულ ნაციონალისტურ პრესას ისეთი აღვირ-წახსნილი კამპანია არ გაუმართავს, როგორც უკანასკნელ ხანებში. სანამ „პოსტ“-ის ფურცლებზე და იუნკერთა კრებაზე სხვა და სხვა გენერლები ხმაურობდნენ, შეიძლებოდა ამისათვის ყურადღება არ მიგვექცია და მნიშვნელობა არ მიგვეცა. მაგრამ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზში დაიბეჭდა უკიდურესი აგრესიული წერილი პეტერბურგელ კორესპონდენტისა. შემდეგ კი საერთოდ მშვიდობიანობის მოყვარე მემარცხენე—ლიბერალურმა „ბერლინერ თაგებლატმა“ მოათავსა ასეთივე ხასიათის წერილი.

რა მოხდა ასეთი? საფრანგეთმა სამხედრო ბეგარა ორის წლის მაგიერ სამი წელიწადი დააწესა, რუსეთი კი შეიარაღებას აძლიერებს. მაგრამ ხომ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეს ზომები პასუხია გერმანიის საშინელ შეიარაღებისა 1912—13 წლებში. მოხდა ის, რასაც წინასწარმეტყველობდნენ ყველა კეთილგონიერი ადამიანი: იმ აუარებელ მსხვერპლს, რომელიც გერმანიამ შესწირა ომის კერპს, ერთი შედეგი მოჰყვა—სახელდობრ, კიდევ უფრო გაძლიერა გაგიჟებული შეცილება შეიარაღებისა.

გაზეთი სრულებით შეუძლებლად სცნობს, რომ რუსეთმა და საფრანგეთმა ახლო მომავალში შეტევის ომი დაიწყონ რადგან რუსეთს ასეთი ომი შინაურ საქმეების გაურთულებს, საფრანგეთში კი შეიძლება ჯარმა პირდაპირ უარი სთქვას ომზე. გერმანიაში კი როგორც თავდასაცავი ისე შესატევი ომი რევოლიუციას გამოიწვევს, რადგან ეჰვს გარეშეა, რომ რუსეთთან ომი გაგრძელდება, ასეთ ომს კი დიდხანს ვერ აიტანს ისეთი სამრეწველო სახელმწიფო, როგორიც გერმანიაა. მაშინ საჭირო აღარ იქნება არავითარი სარევოლიუციო პროპაგანდა. საშინელება, სასოწარკვეთილება და შიმშილი ხალხს მოთმინებიდან გამოიყვანს და მთავრობისაგან ომის შეჩერებას მოითხოვს. თუ ნაციონალისტების აურ-ზაურს ამ ჟამად ლიბერალებიც აჰყვნენ, უსათუოდ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საომარი გუნება ხელსაყრელია არა მარტო სამხედრო ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის, არამედ საფინანსო წრეების მსუქან პირებისათვისაც. გაზეთი ამ ჟამად ომს შეუძლებლადა სცნობს. მაგრამ მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ ასე უეცრად შესაძლოა ასეთი საძაგელი აურ-ზაურის ატეხვა, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ომი შესაძლოა. მთელი ქვეყანა შეიარაღებულია. მილიტრიზმმა ათასობით შეჰქმნა ისეთი ხალხი, რომელთათვისაც ომი ხელობად ან გამდიდრების წყაროდ გადაიქცა. ამავე დროს კონფლიქტების მიზეზები აუარებელია. ასეთ მდგომარეობაში სრულიად უმნიშვნელო მიზეზიც კმარა ომის გამოსაწვევად, თუნდაც მთავრობას ეს არც კი ჰსურდეს. ამიტომაცა საჭიროა, ხალხმა ხმა-მაღლა განაცხადოს პროტესტი ომის წინააღმდეგ.

რუსეთი.

პროფ. ბოდუენ-დე-კურტენეს გასამართლების გამო.

განაჩენის გამოტანის მეორე დღეს პროფ. ბოდუენ-დე-კურტენე, ქალთა უმაღლეს კურსებზე მივიდა მორიგი ლექციის წასაკითხად. მსმენელები მას დიდის ამბით შეეგებნენ, ყვავილები მიართვეს და ოვაციითვე მიაცილეს პროფესორების ოთახამდე. 28 თებერვლის განაჩენის გამო პროფ. ბოდუენ-დე-კურტენემ აუარებელი თანაგრძნობის წერილები და დეპეშები მიიღო რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან.

ამ განაჩენის გამო გაზეთი „დენი“ ამბობს: „მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ს. პ. ბ. პალატის განაჩენმა. ...ეს განაჩენი ვერ მოუნელებიათ იმათ, ვინც ცოტათი მაინც იცნობს პროფ. ბოდუენის პიროვნებას. შეუძლებელია წარმოუდგინოთ, რომ მიუსაჯეს...

ორი წლის ციხე—სამოცდაათი წლის მოხუცს, რომლის ჯანმრთელობა საეჭვოა.

ორი წლის ციხე—ფილოსოფიის დოქტორს, შედარებითი ენათმეტყველების დოქტორს, სამეცნიერო აკადემიის წევრს—კორესპონდენტს, კრაკოვის სამეცნიერო აკადემიის წევრს, შესანიშნავ მეცნიერს, რომელსაც კარგად იცნობენ და დიდადაც აფასებენ დასავლეთ ევროპაში, რომლითაც იამაყებდა დასავლეთის უნივერსიტეტები“ და სხვ, დასასრულ გაზეთი დასძენს: „არ გვინდა დავიჯეროთ, რომ განაჩენს სისრულეში მოიყვანენ. შეუძლებელია და წარმოუდგენელია ამის დაჯერება!“

შევჩენკოს ხალამოს გამართვაზე უარის თქმა.

პეტერბურგში არსებული ტ. შევჩენკოს სახელობის საზოგადოებას 3 მარტს პოეტის დაბადებიდან 100 წლის შესრულების იუბილეის აღსანიშნავი საღამო უნდა მოეწყო. საღამოში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს გამოჩენილმა არტისტებმა და მწერლებმა.

შუამდგომლობა ნებართვის შესახებ უკვე თვენახევრის წინად იყო აღძრული. დიდი ხნის წვალების შემდეგ როგორც იყო ნებართვა მიიღეს. მაგრამ, ვინაიდან საღამოსაწყალო პატივისცემა პოეტის ხსოვნისა ყველგან აკრძალეს, საზოგადოებამაც პროტესტის ნიშნად საღამო აღარ გამართა.

თეატრი და ხელოვნება

ბაქო. აქაურმა ქართულმა დრამატიულმა სექციამ სეზონი 17 თებერვალს დაასრულა. დადგეს შალიკაშვილის „გადაკრული მუხა“ ნიკო გვარაძის საბენეფისოდ. ეს პიესა პირველად ვნახე და დიდი სიამოვნებაც განვიცადე. ხალხი ბლომად დაესწრო და ბრაზი მოსდიოდა, როდესაც უცქეროდა სცენაზე ჩვენს მყვირალა მამულიშვილთ, რომლთაც სულ სამშობლოს სამსახური აკრავთ ენაზე, მაგრამ სულ ცოტაა საკმარისი რომ შავ თვალებას, ან „გაჩინოვნიკებას“ შესწირონ ყველაფერი.

26 თებერვალს კი, განაახლეს სეზონი „ლალატით“. გასტროლიორებად მოწვეული იყო ქ. დავითაშვილი და ვ. გუნია.

წარმოდგენა გაიმართა თაღიევის თეატრში. გამოუთქმელი სიხარულმწუხარება ნარევი განცდა ეტყობოდა მთელი წარმოდგენის დროს მაყურებელს. ვ. გუნია უბადლო იყო ოთარ-ბეგის როლში. ქ. დავითაშვილს ბაქოს საზოგადოება არ იცნობდა. მისმა თამაშმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. საუცხოვო იყო ყველა მოქმედებაში, ხოლო უკანასკნელში გულსაკუთრებით მოაჯადოვა მაყურებელი, რაშიც ხელს უწყობს მსახიობს ლამაზი გარეგნობა, კარგი დიქცია, როლის კარგად ცოდნა. ანანიას როლს თამაშობდა ექიმი თურქია, რომლის სასცენო ნიჭმა ბევრი გააკვირვა.

ადგილობრივი ძალები სასიქადულოდ უწყობდენ ანსაბლს ხელს. სოლეიმან—ახობაძე, დათო—ამაშუკელი, ერეკლე—გვარაძე, რუქაია—ქ. ამირაჯიბი და სხვა. თაღიევის დიდი თეატრი, გაჭედილი ხალხით, მხურვალე ტაშის ცემით გამოემშვიდობა დავითაშვილს და გუნიას.

ქებათაქება დრამატიული საზოგადოების გამგეობას, რეჟისორს ბ. გვარაძეს. სახელი და დიდება სცენის მუშაკთ, რომელნიც თავგამოდებით მუშაობენ ჩუმად, წყნარად, ბევრი სრულიად უსასყიდლოდ—სამშობლო ენის გასაფურჩქვნელად, ეროვნული სიმტკიცის შესაქმნელად და საკაკობრიო აზრთა შესათვისებლად.

მიხეკო ჩ—ძე.

ფემოწყირულება

ილიასეულ სახლის დასახსნელად.

გაახლებთ 26 მან. და 10 კაპ., შეგროვილს ბორჯომის ქართველებს შორის ილიასეულ სახლის გამოსასყიდად.

სამ-სამი მან. ვალ. ქავთარაძემ, მ. ქიმერიძემ, ზ. კიკნაძემ და გიორგი მგალობლიშვილმა; თითო მან: ციხითათრიშვილმა, ი. კურტანიძემ, არ. ხმალაძემ, მ. სარალიძემ, რაჟ. ზახარაშვილმა, ბ. გორგაძემ, მ. გამგებელმა; ათ-ათი შაური: ახალკაცმა, მღ. სოფრომაძემ, ლ. ბეროზაშვილმა, ის. მაისურაძემ, ლად. სარაძემ, გ. ნასყიდოვმა, გ. ვაშაკიძემ, ბ. აბრამაშვილმა, გერმანიშვილმა, ზ. ნებიერიძემ, ალ. ტაბიძემ, ს. მკერვალიშვილმა, ალ. ხმალაძემ; თითო აბაზი: ტოგონიძემ, ანთ. კობახიძემ, სან. ხაბელაშვილმა.

ილიას სახლის გამოსასყიდათ კიდევ მივიღეთ ქრ. რაჭველიშვილისაგან ოდესიდან 5 მან. და 45 კაპ.

ბ-ნო რედაქტორო! ქუთაისის პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კორპორაცია გიგზავნით 20 მან. ჩვენი სასიქადულო პუბლიცისტის **არჩილ ჯორჯაძის** სახელობაზედ დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად.

კორპორაციის მონდობილობით
მასწ. ნ. აბზიანაძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ალაგი მისცეთ ამ მცირე წერილს თქვენს გაზეთში. ულრმეს მადლობას ვუცხადებ შემდეგ პირთ, რომლებმაც სვირში დამწვარ ეკლესიას ნივთები შემოსწირეს: ქვაშვეთის წინამძღვარმა დეკ. კალისტრატე ცინცაძემ: დროშა 2 ცალი, მიცვალებულის გადასაფარი 1 ც., ხატები 3 ც., სამირონე და ბაჭეთე 1 ჯერ., შანდალი 1 ც., ყულაბა 1 ც.; მაწყმინდის წინამძღვარმა დეკ. ნესტორ მაჭავარიანმა: ჯვარი 1, კონდაკი 1, ჟამნი 1, მთავრის შესამოსი 1, პადრეზნიკი 1, ხატი 2, ანალოგიის გადასაფარი ნაქარგი 1, სტოლის საფარი ნაქარგი 1, დაფარნები 1 ხელი, პირსახოცი 1; სიონის წინამძღვარმა დეკ. მარკოზ ტყემალაძემ: მღვდლის შესამოსი ერთი ცალი და კიდევ დაგვპირდა შემწეობას ახლო მომავალში; ანჩისხატის წინამძღვარმა დეკ. ნიკიტა თალაკვაძემ: მღვდლის შესამოსი ახალი, ერთი ცალი; წმ. გიორგის მღვდელმა ქრისტესი თხინვალელმა: ხატი 2, დაფარნები სამკაულით 1; დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა დეკ. იოსებ მირიანაშვილმა: ორი დიდი შანდალი, ოთხი დიდი ხატი, სამი პატარა ხატი, ერთი ხის ჯვარი, შესამოსელი ერთი მღვდლისა, ერთი საზეთე კანდელი; დეკანოზმა მათე მონასელიძემ: მღვდლის შესამოსელი ორი, ხატი ორი, საცეცხლური 1.

ანტონ მოსეს ძე გიორგაძე

რედაქტორი **ნ. ძუნდელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ნევრასთენია

და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უილაჯობა, ნეგრილოგია, ხერხემლის ტვინის გაფიტვა, სიდამბლე, გულის სნეულებანი, მოხუცებულობის დაუძლურება და სიგამხდრე ადვილად იკურნება პელას სპერმინით, რასაც ადასტურებს მწერლობაში გამოქვეყნებული მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმთა დაკვირვებანი.

პელას სპერმინი ერთად-ერთად ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელას სპერმინთან საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა“. ხოლო ვისაც მთელი ორგანოტერაპია აინტერესებს, 4 შვიდ-კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი“.

სპერმინ-პელასი იშოვება ყველგან. Метцль и К-о. 8699. 1016

პროფესორი ექიმი **პელი** შვილებით **ს. პ.-ბ.**
მის იმპერატორ უდიდებულესობის სასახლის მოიჯარადრენი.

ეპიმნავასარდიანი

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონეცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშფოთებულნი კონსულტაციისაგან.

ბ. ა. ნაგანბარდიანი: 11—12 ს. ჭირუვიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბანოვი: 1—2 ს. ფშვინვა, შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბ ბინასოვი: 10—11 ს. საბავშვო ქალებისა ფ. ბავშვებისა.

ბ. ვ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. ვ. ბეტანიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და პირუტყვ.

ა. ბ. კარაბეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ბ. ტერ-დავიდოვა** 1—2 ს. საბავშვოდ და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. ვ. ბეტანიანცი: 6—7 საათ.

ინჟექციანი 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ინჟექციები ძვირიგებით.

სანკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაგანბარდიანი. 1071

სამშენებლო მასალების საწყობი

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე; საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 ბ. **ფომინა-ხახანოვა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და **რუსის** ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთარიანი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **ბ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ბატანოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **ვ. ო. ნათიშვილი** (მოინუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. ბირაქოვი** (ბიბილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენიშვნაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თბილისის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ძალაქნის მოედანზე.

სანერგე

ამერიკულ ვაზისა „კლო-ქვურული“ ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **ტალტერი** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.

მუდამ გვეშოვება გასასყიდად

წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და ბრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრედვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შეესაფერ ძირზე ნამყნობი, სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით გამოდის ყოველ-კვირეული, სალიტერატურო, საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი

ზეროგაა

რედაქცია იმყოფება გიმნაზიის ქუჩაზე პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	2 მ. 50 კ.	ერთი თვით	25 კ.
ნახევარი წლით . .	1 მ. 25 კ.	ცალკე ნომერი. . . .	5 კ.

ხაზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 15 კ. უკანასკნელზე 10 კაპ. ფული და წერილები მიიღება შემდეგი მისამართით: **Кутаисъ,** рел. еженед. груз. газеты „ШРОМА“. 1097

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 1914 წ. 14 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე ქალაქის საკრებულოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მნაცაკანას ხიდზე გამვლელ ეტლებსა და საქონელზე დადებულ

გაუის აკრების იჯარით გასაცემად

პირობების გაგება შეიძლება ყოველ საქმის დღეს საიჯარო განყოფილების კანცელარიაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. 1096

თეგზის მრეწველნი

ძმ. ძეგვეოლოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. №№ 9.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძველ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

1081